სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები

2019 წელი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის დასახელება:	დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო–სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი აკად. ხარისხი/კვალიფიკაცია და კოდი: განათლების მაგისტრი (დაწყებითი საფეხურის I-IV - ინტეგრირებული მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ქართული ენა-ლიტერატურა; I -VI ქართული ენა და ლიტერატურა); კოდი 03

პროგრამის მოცულობა:

პროგრამის მოცულობა - **300 კრედიტი**;

პროგრამის სტრუქტურა:	
თავისუფალი კომპონენტების მოდული	**53** ECTSკრედიტი
სპეციალობის კომპონენტი, მათ შორის:	
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჯგუფის მოდული	**187** ECTSკრედიტი
სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული	**60** ECTSკრედიტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო–სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება ისწავლოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო–სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევით საგნებად აბარებენ ისტორიას, გეოგრაფიას, ქიმიას, ბიოლოგიას ან ქართული ლიტერატურას. არჩევითი საგნები შერჩეულია პროგრამიდან გამომდინარე და ეფუძნება მასში შემავალი მოდულების უკეთ ათვისების პრინციპს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აუცილებელი წინაპირობაა აბიტურიენტმა უნივერსიტეტში სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურენოვან აბიტურიენტებს, ვინც წარმატებით ჩააბარებს თავის მშობლიურ ენაზე უნარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და გაივლის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის B_2 დონეზე ცოდნას.

პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხოელი მოქალაქეებისათვის სწავლის აუცილებელი პირობაა ქართული ენის B_{1+}/B_2 დონეზე ცოდნა, რადგან პროგრამაზე სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეები წარმოადგენენ სერტიფიკატს ქართული ენის შესაბამის დონეზე ფლობის შესახებ, ან აბარებენ გამოცდას ქართულ ენაში. სერტიფიკატის აღება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრში უცხოელთათვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში.

პროგრამაზე ასევე შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საქართველოს და უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებმა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებმა. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შიდა მობილობის ფარგლებში – უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად. ასევე

უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამების ფარგლებში.

პროგრამის მიზანია: სტუდენტი აღჭურვოს მასწავლებლის პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიული ცოდნით, ჩამოუყალიბოს ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ღირებულებები და კომპეტენციები, რომელიც განისაზღვრება უფროსი მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით, პროფესიული ეთიკის კოდექსითა და დარგობრივი მახასიათებლით. ასევე საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო აქტებით.

პროგრამა ითვალისწინებს, მომავალ პედაგოგს მისცეს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების ცოდნა, რაც გულისხმობს თითოეული მოსწავლის უნიკალურობის გაცნობიერებას, მათი პიროვნული, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური განვითარებისათვის სწავლების დიფერენცირებული სტრატეგიების გამოყენებას, სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპების ცოდნას.

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებში ისეთი პრაქტიკული უნარების განვითარებას, როგორიცაა პედაგოგიური სიტუაციის/ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზი სათანადო მეთოდებზე დაყრდნობით, წარმატებული კომუნიკაცია, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა და საკუთარი სასკოლო პრაქტიკის კვლევა.

პროგრამა მიმართულია, სტუდენტებში განავითაროს ახალ გარემოში დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების, ავტონომიურობის უნარი, რაც ეფუძნება პასუხისმგებლობის გრძნობას. ყოველივე განაპირობებს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, მულტიკულტურული გარემოს თავისებურებების გათავისებას, რაც საფუძველია დარგის განვითარებისათვის და ხელს უწყობს საზოგადოების ინტეგრაციას.

სწავლის შედეგები:

პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის მოდული	
	ცოდნა და გაცნობიერება
პედაგოგიურ საქმიანობას წარმართავს საგანმანათლებლო	➢ იცის საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურა და

პოლიტიკის ძირითად პრინციპებზე, საფუძვლებსა და მარეგულირებელ დოკუმენტებზე დაყრდნობით	მიზნები, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, იცნობს მასწავლებლის საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ დოკუმენტებს, ზოგადი განათლების ჩარჩო-დოკუმენტებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას. ➢ გაცნობიერებული აქვს ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა, პიროვნების ჩამოყალიბებაში სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდის განმაპირობებელი ფაქტორების მნიშვნელობა. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** ➢ შეუძლია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგემების შემუშავება. ➢ შეუძლია მშობელთა (სხვა კანონიერ წარმომადგენელთა) ჩართულობის ხელშეწყობა მოსწავლეთა გააზრებულად სწავლებისათვის. **დასკვნის გააკეთების უნარი** ➢ პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ალტერნატიული გზიდან ირჩევს ერთ-ერთს და ასაბუთებს შესაბამისობას იმ მარეგულირებელ დოკუმენტებთან, რის საფუძველზეც გაკეთდა დასკვნა **კომუნიკაციის უნარი** ➢ შეუძლია ეფექტური, საქმიანი თანამშრომლობა და ურთიერთობა მოსწავლეებთან, კოლეგებთან, თემთან, რაც ხელს შეუწყობს კონფლიქტების თავიდან აცილებასა და და მოგვარებას; **სწავლის უნარი** ➢ შეუძლია სასწავლო გეგმის მიზნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის თანამედროვე

	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, სხვადასხვა სახით სიახლეების ათვისება; **ღირებულებები** ➢ სწამს, რომ ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტები პედაგოგიური საქმიანობის საფუძველია.
პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დისციპლინების საფუძვლებს იყენებს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების განხორციელებისას	**ცოდნა და გაცნობიერება** ➢ პედაგოგიური და ფსიქოლოგიური დისციპლინების ძირითადი ასპექტების, პიროვნების განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიების, პროფესიული განვითარების ძირითადი პრინციპების, ფორმების, გზების, თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბების ხელშემწყობი ფაქტორების, სტრატეგიების ცოდნაზე დაყრდნობით აცნობიერებს თანამშრომლობითი გარემოს მნიშვნელობასა და მის როლს. ➢ იცის, როგორ შექმნას თითოეული მოსწავლისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი, სწავლისა და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო, რაც აუცილებელია კლასის მართვისა და კონფლიქტების მოგვარება-პრევენციისათვის. ➢ იცნობს სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ძირითად მიდგომებს. აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლის ინდივიდუალურობის გათვალისწინებით შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისათვის; **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** ➢ შეუძლია მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით თითოეული მათგანის პიროვნული, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური განვითარებისათვის უსაფრთხო, კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს შექმნა. შეუძლია მოსწავლეებში სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობა მათი ასაკობრივი და

	ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ➢ შეუძლია მოიძიოს, შეარჩიოს და გამოიყენოს დამხმარე რესურსები. შეუძლია მოსწავლეებში იმ უნარების განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ICT-ის გამოყენებას სოციალური, ეთიკური და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. **დასკვნის გააკეთების უნარი** ➢ შეუძლია კომპლექსური სიტუაციების ანალიზი, პრობლემების განსაზღვრა, მოსალოდნელი შედეგების გააზრება და საბოლოოდ ლოგიკური დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება; **კომუნიკაციის უნარი** ➢ შეუძლია მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით მათ შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; **სწავლის უნარი** ➢ იცის საგანმანათლებლო ბეჭდური და ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით რესურსების მოძიება, შექმნა და მათი მიზნობრივად გამოყენება სასწავლო პროცესში. **ღირებულებები** ➢ სწამს, დიფერენცირებული მიდგომის მნიშვნელობის მოსწავლეთა მოტივაციის ზრდის, მათი პიროვნული და კოგნიტური განვითარებისა და სასკოლო საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში; მისთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლე, როგორც პიროვნება; აცნობიერების განათლების ინკლუზიურობისა და მოსწავლეთა მოტივაციის მნიშვნელობას თავისუფალი სასაწავლო გარემოს შექმნისათვის.

საგნის/საგნობრივი ჯგუფისა და მეთოდური მოდული	
ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების ინტეგრირებული კურსების აკადემიური საბაზისო უნარებზე აგებს სწავლა-სწავლების პროცესს.	**ცოდნა და გაცნობიერება** ➢ იცნობს მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური უნარების განვითარების ძირითად მიდგომებს. იცის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სასწავლო საგნებში საბაზისო მასალა; ➢ იცნობს მათემატიკური ოპერაციების, ლოგიკური აზროვნების, სწორი და გამართული მეტყველების სტრატეგიებს, სწავლება/სწავლის-კითხვისა და წერის, წიგნიერების ძირითად კონცეფციებს და აცნობიერებს მათ შესაბამისობას მოცემულ კონტექსტთან; აცნობიერებს ურთერთკავშირს მშობლიური და მეორე ენის წიგნიერებას, ზეპირ და წერით უნარებს შორის. იცნობს საგნების ინტეგრირებული სწავლების მიდგომებს. ➢ იცნობს ბუნებისმეტყველებისადამიანის გარე - სამყაროსთან ურთიერთობის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოების განვითარების (მდგრადი განვითარება) მიზნებს, ძირითად პრინციპებს. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** ➢ შეუძლია გაკვეთილის დაგეგმვა გაკვეთილის შემადგენელი კომპონენტების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით. დაგეგმვისას შეუძლია

	შიდასაგნობრივი კავშირების გათვალისწინება და საგანთა ინტეგრირება. შეუძლია მოსწავლეზე ორიენტირებული კლასგარეშე საქმიანობების დაგეგმვა; ➢ სწავლების პროცესში შეუძლია სასწავლო თემებში მდგრადი განვითარების პრინციპების ასახვა. **დასკვნის გაკეთების უნარი** ➢ აცნობიერებს საგნების ინტეგრირებული სწავლების მიდგომებს, აანალიზებს საგანთა შორის ლოგიკური ლოგიკური კავშირების არსებობას. **სწავლის უნარი** ➢ შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. **კომუნიკაციის უნარი** ➢ შეუძლია კოლეგებთან კომუნიკაცია აკადემიურ საბაზისო ცოდნაზე დაყრდნობით. **ღირებულებები** ➢ აცნობიერებს თითოეული მოსწავლისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელობას.
იყენებს სასწავლო პროცესის ეფექტიანი ორგანიზაციის მეთოდურ საფუძვლებს.	**ცოდნა და გაცნობიერება** ➢ იცნობს სასწავლო პროცსში დიფერენცირებული მიდგომების ძირითად პრინციპებს; იცის სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული სტრატეგიები და გააზრებული აქვს მათი გამოყენების პერსპექტივები. ➢ იცის მოსწავლის შეფასება (მ.შ. სსსმ მოსწავლის) ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით, იცის შეფასების ტიპები, მეთოდები, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და რუბრიკების შედგენის ძირითადი პრინციპები.

	➢ იცის, ისეთი ფიზიკური, სოციალურ-ემოციური, კოგნიტური სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ამაღლებს თითოეული მოსწავლის მოტივაციას. იცის მრავალფეროვანი რეალობის (კულტურული, ლინგვისტური, ასაკობრივი, ეთნიკური) თავისებურებები. აცნობიერებს კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციისა და მრავალმხრივი განვითარებისათვის. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** ➢ შეუძლია პიროვნების განვითარებისა და განათლების თეორიების ეფექტიანად გამოყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას. შეუძლია მოსწავლეთა კულტურული მრავალფეროვნების, მათი ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით შექმნას პოზიტიური სასწავლო გარემო, ხელი შეუწყოს კლასში მოსწავლეთა ინტეგრაციას და აამაღლოს მათი მოტივაცია; ➢ შეუძლია სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა, სასწავლო პროცესის მართვა, სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, სსსმ მოსწავლეების ინტეგრირება სასწავლო გარემოში, მათთან მუშაობისას სპეციალისტების რეკომენდაციების გათვალისწინება. ➢ შეუძლია სწავლისა და სწავლების, მოტივაციის ამაღლების მრავალფეროვანი სტრატეგიების შერჩევა და ეფექტიანად გამოყენება მოსწავლეთა ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით. ➢ შეუძლია თითოეული მოსწავლის კოგნიტური და პიროვნული განვითარებისათვის შეფასების მეთოდების, მათ შორის განმავითარებელი შეფასების მიზნობრივად გამოყენება, შეფასების სქემებისა და

	რუბრიკების შედგენა. **დასკვნის გააკეთების უნარი** ➢ შეუძლია კლასის მართვის პროცესში კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების ანალიზის საფუძველზე შესაბამისი რეაგირება; ➢ აანალიზებს შფასების შედეგებს. **კომუნიკაციის უნარი** ➢ შეუძლია მოსწავლეების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით მათ შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; **სწავლის უნარი** ➢ შეუძლია საკუთარი პედაგოგიური ცოდნისა და უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. **ღირებულებები** ➢ აცნობიერებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან თანამშრომლობის მნიშვნელობას პოზიტიური, უსაფრთხო, თავისუფლი სასწავლო გარემოს შექმნისათვის.
სასკოლო პრაქტიკისა და პრაქტიკის კვლევის მოდული	
შეუძლია სასკოლო პრაქტიკაში თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ინტეგრირება და პრაქტიკის კვლევა.	**ცოდნა და გაცნობიერება** ➢ იცნობს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებს და კვლევებს, იცის კვლევის მეთოდები განათლებაში. ➢ იცის პრაქტიკის კვლევის სპეციფიკა, წარმართვის თავისებურებები. ➢ აცნობიერებს კვლევის შედეგების გამოყენების მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა

	და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** ➢ შეუძლია კვლევის დაგეგმვა, შესაბამისი ინსტრუმენტების შექმნა/მოძიება, განხორციელება და მოსწავლეების კვლევით პროექტებში ჩართვა. **დასკვნის გააკეთების უნარი** ➢ შეუძლია გაანალიზოს კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირი. აქვს თვითშეფასების უნარი. მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე შეუძლია საკუთარი პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დანერგვა. ➢ შეუძლია სასკოლო პრაქტიკის გაანალიზებით (კრიტიკული ანალიზი, სინთეზი, შეფასება, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და ეფექტიანობის შეფასება). **სწავლის უნარი** ➢ აქვს უნარი, გამოიყენოს თანამედროვე კვლევები სასკოლო პრაქტიკის სრულყოფისათვის. **კომუნიკაციის უნარი** ➢ შეუძლია დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების პრეზენტაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან; **ღირებულებები** ➢ ისწრაფვის სიახლეების ათვისებისა და მათი პრაქტიკაში დანერგვისაკენ. აცნობიერებს კვლევითი კომპონენტის მნიშვნელობას სასკოლო პრაქტიკის სრულყოფის პროცესში.

თავისუფალი კომპონენტების მოდული	
პედაგოგის პროფესიას აკავშირებს პიროვნების პასუხისმგებლობის მქონე, დამოუკიდებლად მოაზროვნე, თანამედროვე მოქალაქედ ჩამოყალიბების პროცესთან.	**ცოდნა და გაცნობიერება** ✓ ფლობს ენობრივი კომპეტენციების ძირითადი ასპექტებს. ✓ იცნობს თანამედროვე მოქალაქის წინაშე მდგარ გამოწვევებს **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** ✓ შეუძლია ადაპტაცია მრავალფეროვან გარემოში. **დასკვნის გაკეთების უნარი** ✓ აქვს უნარი, შეიძინოს და გამოიყენოს ახალი ცოდნა, ტენდენციები; ✓ საკუთარი პროფესიული განვითარებისა და წინსვლისთვის. **კომუნიკაციის უნარი** ➢ შეუძლია ქართულ და უცხოურ ენაზე პროფესიული ლიტერატურის გაცნობა, შეუძლია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაგებ და აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია; **სწავლის უნარი** ➢ აქვს წყაროებიდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და სასწავლო გარემოში ინტეგრირების უნარი; **ღირებულებები** ➢ ისწრაფვის უწყვეტი პროფესიული განვითარებისაკენ, აცნობიერებს ინტერნაციონალიზაციის პროცესისა და განათლებაში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას.

დასაქმების სფერო:

დასაქმების სფერო: მასწავლებლის პროფესია რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. კურსდამთავრებულებს, რომელთა კვალიფიკაცია უთანაბრდება მაგისტრის ხარისხს, უფლება ექნებათ, იმუშაონ:

- ზოგადსაგანმამათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასები), ქართული ენა და ლიტერატურა -(I-VI კლასები) მასწავლებლად;
- განათლების რესურსცენტრებში;
- საჯარო სამსახურებში;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში;
- განათლების საკითხებით მომუშავე არასამთავრობო სექტორში;
- არაფორმალურ განათლების კუთხით.

I.ფაკულტეტის დასახელება: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა

II. პროგრამის დასახელება: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:

IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

V. სწავლების ენა: ქართული

VI. მისანიჭებელი აკად. ხარისხი/კვალიფიკაცია: არ ენიჭება

VII. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი. პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. სპეციალობის არჩევით ნაწილში მოიაზრება სტუდენტთა გადანაწილება მეორე სემესტრში დარგობრივი მიმართულებების მიხედვით: ენობრივი კომპეტენციების / სამეტყველო უნარების განვითარება იმ სპეციფიკურ ცნებებზე, ლექსიკასა და ტერმინოლოგიაზე, აგრეთვე დარგისთვის დამახასიათებელ სინტაქსურ კონსტრუქციებზე ორიენტირებით, რომელსაც ირჩევენ სტუდენტები უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე. (ბაკალავრიატი).

VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე მშობლიურ ენაზე (სომხური, აზერბაიჯანული, ოსური, აფხაზური) ჩატარებული ზოგადი უნარების ტესტირების მინიმალური ზღვრის გადალახვის შემდგომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვა;

IX. პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაკა ბერიძე

X. პროგრამის აკრედიტაცია: 13.09.2012; გადაწყვეტილება №399

XI. პროგრამის განახლების თარიღი: 2018 წლის 6 ივნისი

XII. პროგრამის მიზანი: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მსმენელს ჩამოუყალიბოს ისეთი ენობრივი კომპეტენციები (B1+/B2 დონე, ზოგადევროპული ენობრივი კომპეტენციების სკალის (CEFR) მიხედვით), რომელთა საფუძველზე ის შეძლებს: წარმატებულ კომუნიკაციას ქართულ ენაზე და უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამაზე) სწავლის გაგრძელებას; ქართული ენის ცოდნის შემდგომ გაღრმავებასა და დამოუკიდებლად გამდიდრებას; ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ღირებულებების გაცნობას, დაფასებას, პატივისცემას.

XIII. სწავლის შედეგი:

სწავლის შედეგები
თანმიმდევრულად აყალიბებს აზრს **წერილობითი** ფორმით წაკითხული/მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე პროფესიულ/მისთვის ნაცნობ თემებზე, იყენებს წერის სტრატეგიებს დარგობრივი და ფუნქციური ტექსტების შესაქმნელად.
კითხულობს და იგებს სხვადასხვა ხასიათისა და ტიპის ვრცელ ტექსტს დარგობრივი ლექსიკის გამოყენებით, იყენებს კითხვის სტრატეგიებს ტექსტის სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების აღსაქმელად.
იგებს შინაარსობრივად და ენობრივად რთული მოხსენების დედააზრს, თუ თემატიკა მისთვის გარკვეულწილად ცნობილია. იყენებს **მოსმენის სტრატეგიებს** ისეთი სასაუბრო მეტყველების გასააზრებლად, რომელსაც იგი ეხება პირად, საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო და პროფესიულ სფეროებში ურთიერთობისას.
არგუმენტირებულად გადმოსცემს, ხსნის და ასაბუთებს საკუთარ აზრებს, ვარაუდებს. იყენებს **ლაპარაკის სტრატეგიებს** საკუთარი მოსაზრებების, დამოკიდებულებების და განცდების გამოსახატავად.
იყენებს შესაბამის ენობრივ საშუალებებს, სათანადო ლექსიკას, გრამატიკას და პროდუცირებისას აკორექტირებს წერილობით/ზეპირ ტექსტებს **ორთოგრაფიის/ორთოეპიის** ძირითადი წესების შესაბამისად.

პატივს სცემს დემოკრატიულ ღირებულებებს, აღიქვამს კულტურულ მრავალფეროვნებას, საკუთარ პოზიციას აყალიბებს ეთიკის ნორმების დაცვით და იყენებს სტრატეგიულ უნარებს წარმატებული სწავლების უზრუნველსაყოფად.

1. ფაკულტეტისდასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება

2. პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება/ Business Administration

3. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

5. სწავლებისენა: ქართული

6. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი / BA of Business Administration

7. **პროგრამის მოცულობა: 240** ECTSკრედიტი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შედგება შემდეგი მოდულებისგან:

ზოგადი მოდული **- 33 კრედიტი;**

ბიზნესის ძირითადი მოდული - **127 კრედიტი;**

მ. შ. საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი- **5 კრედიტი;** პრაქტიკა - **10 კრედიტი;**

სპეციალობის არჩევითი მოდული (1. ბუღალტრული აღრიცხვა; 2. მენეჯმენტი; 3. ფინანსები) თითოეულისათვის - **20 კრედიტი; 60 კრედიტი,** რომლის ათვისებაც სტუდენტს შეეძლება შემდეგი ვარიანტებიდან ერთ-ერთის არჩევით:

1. უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი აკრედიტებული MINOR პროგრამა **(60 კრედიტი);**

2. თავისუფალი/არჩევითი კურსები **- 60 კრედიტი.**

8.პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბიზნესისადმინისტრირებისსაბაკალავროპროგრამაზესწავლა შეუძლიათ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე

სწავლისუფლებააქვსსრულიზოგადიგანათლებისდამადასტურებელისახელმწიფოდოკუმენტისმფლობელსანმასთანგათანაბრებ

ულპირს (საქართველოს მოქალაქეს),

რომელმაცგაიარაერთიანიეროვნულიგამოცდებიდამიღებულიქულებისკოეფიციენტებითრანჟირებისსაფუძველზემოიპოვაუფლე ბა,ისწავლოსსამცხე-ჯავახეთისსახელმწიფოუნივერსიტეტისბიზნესისადმინისტრირებისსაბაკალავროპროგრამაზე. პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევით საგნად აბარებენ მათემატიკას.არჩევითი საგანი შერჩეულია პროგრამიდან გამომდინარე და ეფუძნება მასში შემავალი მოდულების შინაარსს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აუცილებელი წინაპირობაა აბიტურიენტმა უნივერსიტეტში სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურენოვან აბიტურიენტებს, ვინც წარმატებით ჩააბარებს თავის მშობლიურ ენაზე უნარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და გაივლის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის B_2 დონეზე ცოდნას.

პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.უცხოელი მოქალაქეებისათვის სწავლის აუცილებელი პირობაა ქართული ენის B_{1+}/B_2 დონეზე ცოდნა, რადგან პროგრამაზე სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეები წარმოადგენენ სერტიფიკატს ქართული ენის შესაბამის დონეზე ფლობის შესახებ, ან აბარებენ გამოცდას ქართულ ენაში. სერტიფიკატის აღება უცხო ქვეყნისმოქალაქეებს შეუძლიათ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრში უცხოელთათვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში.

პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა აქვთ ასევე საქართველოს და უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებს. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლოდაწესებულებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შიდა მობილობის ფარგლებში–უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად.უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

9. პროგრამის ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ცისკარა ზარანდია.

10. პროგრამის მიზანი: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების ეფექტიან ადმინისტრირებას.

პროგრამა ითვალისწინებს მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესწავლას დაუზრუნველყოფს პროფესიული კარიერისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების შეძენას.

ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების - აღრიცხვის, მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსების გაღრმავებული შესწავლით პროგრამას შეაქვს წვლილი ბიზნესის ადმინისტრირების დარგისა და საზოგადოების განვითარებაში

11. სწავლის შედეგი:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, მოსალოდნელია, რომ სტუდენტს შეეძლება:

1.ბიზნესის ადმინისტრირებისა და მართვის მეცნიერებების, ბიზნესის სამართლის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, სტატისტიკისა და მათემატიკისცოდნის საფუძველზე საფინანსო, სააღრიცხვო, მენეჯერული და მარკეტინგული ინფორმაციების გაანალიზება და გამოყენებაოპტიმალურიმმართველობითიგადაწყვეტილებისმისაღებად.

2. ფინანსური, საგადასახადო და მმართველობითი აღრიცხვის სფეროებშიგაანგარიშებების ჩატარება, ანგარიშგების ელემენტების იდენტიფიცირება და კომპონენტების მომზადება.

3. საბანკო საქმისადა ფინანსების მართვის ძირითადი საკითხების ინტერპრეტირება,ეროვნული და კომერციული ბანკების როლის გაანალიზება და შეფასებაბიზნესის მართვის სისტემაში.

საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის არჩევის შემთხვევაში:

4. 1 ფასს-ის და აუდიტის სტანდარტების გამოყენება მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, აგრეთვე საფინანსო - საკრედიტო და საბიუჯეტო

დაწესებულებებში აღრიცხვა-ანგარიშგების შედგენა და ინფორმაციების ანალიზი პროფესიული ეთიკის მოთხოვნების დაცვით. მენეჯმენტის მოდულის არჩევის შემთხვევაში: 4.2 ორგანიზაციული ქცევის, ლიდერობისა და პროექტების მართვის წესებისა და პროცედურების შეფასება, საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის ძირითადი თეორიულ-გამოყენებითი პრინციპებისა და მეთოდების ჩამოყალიბება პროფესიული ღირებულებების დაცვით.. ფინანსების მოდულის არჩევის შემთხვევაში: 4.3საჯარო და კორპორაციული ფინანსების, სადაზღვევო სისტემის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფორმაციებისანალიზი, შედეგების შეჯამება და ინტერპრეტირებაზნეობრივი და ეთიკური პროფესიული ღირებულებების დაცვით.
5. ბიზნესის ადმინისტრირების პრობლემებზე წერილობითი ანგარიშის მომზადება, წარდგენა და მათი გადაჭრის გზების დემონსტრირება შესაბამისი დასაბუთებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მშობლიურ და უცხოურ ენაზე;
6. შეძენილი ცოდნის ბაზაზე საკუთარი შესაძლებლობების შეფასება და ავტონომიურობის დემონსტრირება, მომავალი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სპეციალიზაციის მოდულებიდან და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად;

1. **საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება:** ეკონომიკა / Economics
2. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ეკონომიკის ბაკალავრი / Bachelor of Economics
3. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 240 ECTS კრედიტი

4. **სწავლების ენა:** ქართული

5. **პროგრამის ხელმძღვანელები:**

პროფესორი როინ თათეშვილი, ასოც. პროფესორი ნანა ჯღარკავა.

6. **საბაკალავრო პროგრამის მიზანი:** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება. რომელსაც აქვს ეკონომიკაში ინტეგრირებული, ფართო თეორიული ცოდნა, დამოუკიდებელი აზროვნების, შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის უნარები.

7. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შეუძლია საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება, ისწავლოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე. უნივერსიტეტში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აბიტურიენტმა უნივერსიტეტში სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია. პროგრამაზე უცხოელი მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაზე ასევე შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საქართველოს და უცხო ქვეყნის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებმა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებმა. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შიდა მობილობის ფარგლებში–უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად. ასევე უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

8. **სწავლის შედეგები:**

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, მოსალოდნელია, რომ სტუდენტს შეეძლება:

1. ეკონომიკაში გამოყენებული ძირითადი ცნებების, ეკონომიკის ძირითადი პრინციპების, მიკრო და მაკროეკონომიკური თეორიების, კონცეფციების, მეთოდებისა და მოდელების, ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება

2. ეკონომიკაში მათემატიკური, რაოდენობრივი, სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით ეკონომიკური ამოცანების პარამეტრების გაანგარიშება

3. მენეჯმენტის, მარკეტინგის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, მათემატიკის, სტატისტიკისა და ეკონომეტრიკის ცოდნის საფუძველზე საფინანსო, სააღრიცხვო, მენეჯერული და მარკეტინგული ინფორმაციების გაანალიზება და გამოყენება ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად

4. ეკონომიკის პრობლემებზე წერილობითი ანგარიშის მომზადება, წარდგენა და მათი გადაჭრის გზების დემონსტრირება შესაბამისი დასაბუთებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მშობლიურ და უცხოურ ენაზე;

5. შეძენილი ცოდნის ბაზაზე საკუთარი შესაძლებლობების შეფასება და ავტონომიურობის დემონსტრირება, მომავალი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

9. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და კრედიტები:

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული 240 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

30 კრედიტი – ზოგადი მოდული;

135 კრედიტი – ეკონომიკის ძირითადი მოდული,

60 კრედიტი – დამატებითი სპეციალობისათვის;

5 კრედიტი – თავისუფალი;

10 კრედიტი – საბაკალავრო ნაშრომი/ან სასწავლო კურსი

I.**ფაკულტეტის დასახელება:** იურიდიული

II. **პროგრამის დასახელება:** სამართალი - Law

III. **უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

IV. **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური, რეგულირებადი

V. **სწავლების ენა:** ქართული

VI. **მისანიჭებელი აკად. ხარისხი/კვალიფიკაცია:** სამართლის ბაკალავრი - Bachelor of Law

VII. **პროგრამის მოცულობა:** საგანმანათლებლო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა 4 წელია, მოიცავს 172 კვირას, 6000 საათს და ითვალისწინებს ECST-ის 240 კრედიტის დაგროვებას.

VIII. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

- საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა;
- საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვა;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური რეგისტაციის გავლა;
- სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და უნივერსიტეტში არსებული შიდამობილობის წესის მიხედვით ჩარიცხვა;
- სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება;

IX. **პროგრამის ხელმძღვანელი:** სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი დავით ხობელია

X. **პროგრამის შემუშავების თარიღი:** 2012 წელი

XI. **პროგრამის მიზანი:**

პროგრამის მიზანია მოამზადოს კურსდამთავრებული,, რომელსაც აქვს დარგის ფართო და საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის ცოდნა, რომელსაც შეუძლია ეროვნული სამართლის სისტემის ფუნდამენტური პრინციპების შესწავლა, სრულფასოვანი იურიდიული განათლების მიღება და კვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბება, კურსდამთავრებულს მოქმედი კანონმდებლობის, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე შეეძლება სამართლის ნორმების სწორი გაგება, მათი გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში. სტუდენტი უზრუნველყოს სამართლის არსისა და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების, სამართლის განმარტების მეთოდების, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების თეორიების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, სამართლის ნორმის სტრუქტურისა და სახეების, სამართლისა და მორალის ნორმების თანაფარდობის, სახელმწიფოსა და სამართლის სხვა ზოგადი საკითხების, დანაშაულის არსის, სახეებისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის სწავლებით;სტუდენტი დაეუფლოს ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებიც მას ხელს შეუწყობს იურისტისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვებაში, იურიდიული დოკუმენტის (ხელშეკრულება, საჩივარი, სარჩელი და ა.შ.) მოკლედ, გასაგებ ენაზე შედგენაში; სტუდენტს ასწავლოს ადმინისტრაციულ,

სამოქალაქო და სისხლის სამამართალწარმოებისას პროცესუალური დოკუმენტების შედგენა და იურისტისათვის საჭირო ნორმატიულ აქტებში შეტანილი ცვლილებების და სამართლის მეცნიერების სიახლეების მიდევნების, აგრეთვე პროფესიული ეთიკის ნორმები და პირის უფლებების განხორციელებისა და სამართლიანობის იდეებით მოქმედების უნარი.

სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა პროგრამის ფარგლებში შეიძინოს ცოდნა და მოახდინოს საგნების კონცენტრაცია ერთ-ერთი მიმართულებით: კერძო სამართალი, სისხლის სამართალი და საჯარო სამართალი; სტუდენტს შეუძლია ასევე დაეუფლოს სამართლის ისტორიულ, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ფილოსოფიურ და ეკონომიკურ ასპექტებს, შეისწავლოს არაიურიდიული დისციპლინები.

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ თანამდებობაზე, სადაც არ მოეთხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. მას ასევე შეეძლება მუშაობა საჯარო (შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სასჯელაღსრულების, საგარეო საქმეთა სამინისტროებში და ა.შ.)საერთაშორისო ორგანიზაციებში და არასამთავრობო დაწესებულებებში.

XII.XIII. სწავლის შედეგი:

	დარგობრივი კომპეტენციები
ცოდნა და გაცნობიერება	აქვს ეროვნული და მსოფლიო საართლის სისტემების ძირითადი თავისებურებების, პრინციპების და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის სიღრმისეული ცოდნა. კურსდამთავრებულმა იცის: აქვს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი პრინციპებისა და კანონმდებლობით დადგენილი წესების ცოდნა. სტუდენტმა იცის სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპები, სამართლის განმარტების მეთოდები, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობისა და განვითარების თეორიები, ქართული სამართლის ისტორიული წყაროები, მისი წარმოშობისა და განვითარების ეტაპები, ,სამართლის ნორმის სტრუქტურა და სახეები, სამართლისა და მორალის ნორმების თანაფარდობა, სახელმწიფოსა და სამართლის სხვა ზოგადი საკითხები, დანაშაულის არსი, სახეები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი; სტუდენტი დაუფლებულია ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებიც მას ხელს შეუწყობს იურისტისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვებაში, იურიდიული დოკუმენტის (ხელშეკრულება, საჩივარი, სარჩელი და ა.შ.) მოკლედ, გასაგებ ენაზე შედგენაში; აქვს ცოდნა იცის ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, ეკონომიკური

	დანაშაულის და აგრეთვე საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის, სახელმწიფოს, სასამართლო ხელისუფლების, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ძირითადი საკითხები. ასევე იცის თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართლის საკითხები, საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულის სახეები, სამართალწარმოების წესი და პასუხისმგებლობის ფორმები და სახეები. კურსდამთავრებულმა იცის კრიმინოლოგიის ძირითადი საკითხები, დანაშაულის გამომწვევი მიზეზები და მისი თავიდან აცილების პრობლემატიკა. კრიმინალისტიკის ძირითადი საკითხები, დანაშაულის გახსნის ტაქტიკა და მეთოდიკა, საგამოძიებო ტექნიკის გამოყენება. კურსდამთავრებულმა იცის მტკიცებულების არსი, სისხლის სამართლის საპროცესო სამართლებრივი იძულების სახეები და მათი გამოყენების პროცესუალური წესი, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პროცესუალური საკითხები, გამოძიების დამთავრების, შეჩერების საფუძვლები, საქმის წარმოების პროცესუალური წესი პირველი ინსტანციის, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. განაჩენის აღსრულების საკითხები და საქართველოს კანონმდებლობის აღსრულების სხვა მთელი რიგი თავისებურებები. გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის უფლებამოსილების შესახებ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს. აქვს საკუთრების, როგორც სამოქალაქო სამართლის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის ცოდნა. მან იცის საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება. იცის ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის საკითხები, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული განზოგადების კუთხით. იცის შედარებითი კვლევის მეთოდით შესწავლილი საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები. იცის და გაცნობიერებული აქვს სახელშეკრულებო სამართლის, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების, მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართლის, გაკოტრების სამართლის, საკორპორაციო სამართლის, საფინანსო სამართლის, საგადასახადო სამართლის, ეკოლოგიური სამართლის, საეკლესიო სამართლის, სამოხელეო სამართლის, შრომის სამართლის, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის, დაზღვევის სამართლის, სანოტარო სამართლის სპეციალური ნორმები, რომლებიც არეგულირებენ კონკრეტული სახის სამართლებრივ ურთიერთობებს. იცის სამოქალაქო სამართლის პროცესის ძირითადი ასპექტები, სამოქალაქო საქმის წარმოების თავისებურებები.

	იცის კონსტიტუციური სამართლის სისტემა, სტრუქტურა, წყაროები, საზოგადოების სოციალურ ეკონომიკური სტრუქტურა და ორგანიზაცია, სახელმწიფო მმართველობის ფორმები, საარჩევნო სამართალი, პარლამენტის ორგანიზაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა, პიროვნების სამართლებრივი მდგომარეობა. საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განხორციელების წესები და პრინციპები. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მყარი სამართლებრივი ცოდნა აქვს მიღებული ზოგად ადმინისტრაციულ სამართალში კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის წარმოშობის, განვითარების თავისებურებები და დღეს არსებული მდგომარეობა. იცის საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართლის განვითარების ისტორია და სამართლებრივი ასპექტები. ასევე იცის ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ორგანოების სტრუქტურა, კომპეტენცია, ფუნქციიები და წევრი სახელმწიფოების უფლება-მოვალეობათა განმსაზღვრელი ნორმები. ერკვევა ევროკავშირის სამართლებრივი სისტემის ძირითად პრინციპებში, ასევე ადამიანის უფლებათა სამართლის და იცის ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გააზრება ზოგადსამართლებრივ კოტექსტში და გაგებული აქვს ევროკავშირის სამართლის ძირითადი არსი, მიზნები, ნორმები. იცის საერთაშორისო საჯარო სამართლის საგანი, სისტემა, ამოცანები, ძირითადი ცნებები და კატეგორიები, პასუხისმგებლობა საერთაშორისო სამართალში; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალის, საერთაშორისო სასამართლოს, მოსამართლეებისა და პროცესის მონაწილეთა კანონით მოწესრიგებული საქმიანობის ფუნდამენტური პრინციპები. კურსდამთავრებულს პროგრამის გავლის შემდეგ აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო ცოდნა. ის ერკვევა ქართული სამართლის წარმოშობის არსში და მის მნიშვნელობაში ქართული სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის. ამასთან გაცნობიერებული აქვს კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის სამართლებრივი სისტემები. შესწავლილი აქვს სამართლის საფუძვლები, საერთაშორისო სამართლის ნორმებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პრინციპები. აქვს ცოდნა სამართლის ზოგადი ფილოსოფიის ასპექტებზე, ევოლუციაზე, საზრისზე, სახელმწიფო და სამართლის ფილოსოფიაზე; იცის რომის სახელმწიფოს საზოგადოებრივ-სამართლებრივი სფეროს საფუძვლები. იცის იურიდიული ეთიკის მნიშვნელობა სპეციალისტად ჩამოყალიბების პროცესში;

	იურიდიული ეთიკის ძირითადი დებულებები; იურიდიული ეთიკის პრინციპები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი. მას შეუძლია ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირება, დანაშაულთა გამიჯვნა ერთმანეთისგან, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების დადგენა, მაკვალიფიცირებელი ნიშნების სწორი ანალიზი. აქვს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისათვის აუცილებელი პროცესუალური დოკუმენტების წარმოების უნარი. გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელების, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს წარმოქმნილი სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი. აქვს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ფართო სპექტრის გამოყენების, სათანადო სამართლებრივი მეთოდების და მასალების შერჩევისა და მისადაგების უნარი. მას მიღებული ცოდნით აქვს სამართალწარმოების ძირითადი საფუძვლების განსაზღვრისა და სამოქალაქო პროცესის პრინციპების სპეციფიკის წარმოჩენის შესაძლებლობა. ერკვევა დავის სასამართლო წესით, კერძო არბიტრაჟებსა თუ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გადაწყვეტაში. აქვს ცოდნა, რომელიც აძლევს საშუალებას გამოავლინოს პრობლემები, რომელიც არსებობს პრაქტიკაში შესაბამისი ნორმების რეალიზაციისას. მას შეუძლია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმების სწორი გაგება, მათი გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში. გარკვეული მითითების შესაბამისად შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენა. კურსდამთავრებულმა იცის სისხლის სამართლის პროცესუალური დოკუმენტების ნიმუშების შედგენისას ნორმატიული საფუძვლების მოძიება, განმარტება და გამოყენება, აგრეთვე იცის დადგენილების, შუამდგომლობის, ოქმის, მიმართვის,ბრალდებისა და დაცვის შესავალი სიტყვების, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების ნიმუშების შედგენა; იცის სარჩელის, შუამდგომლობის, ოქმის, მიმართვის, სააპელაციო და საკასაციო საჩივრების ნიმუშების შედგენა.
დასკვნის გაკეთების უნარი	აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტისათვის საჭირო თეზისის ფორმირების, განვითარებისა და დასაბუთების უნარი. სამართლებრივი ხასიათის ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულ დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;

	სამართლებრივი პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მათი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი; სამართალსუბიექტების ქცევის განსაზღვრა და მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების გზების შესახებ არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი; მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში სამართლის სფეროში პრობლემის ცნობილი მეთოდების გამოყენებით გადაჭრის უნარი; მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების პრინციპების გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთების უნარი სამართალდარღვევებისა და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისი ნორმატიული აქტების მოძიების ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობის, მათი შეფასებისა და ანალიზის უნარი. აქვს სამოქალაქო სამართალწარმოებისა და საჯარო, საერთაშორისო სამართლის ნორმების სწორი გაგებისა და მათი პრაქტიკაში გამოყენებისას წარმოქმნილი სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად საკუთარი თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი. სამართლებრივი პრობლემების, როგორც, თეორიულ, ისე პრაქტიკულ ჭრილში დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით გადაწყვეტის მიზნით მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის უნარი.
კომუნიკაციის უნარი	სამართლის სფეროში ინფორმაციის ქართულ და უცხოურ ენებზე მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი; აქვს უცხო ენაზე არსებული საერთაშორისო ნორმების მოძიების ,ქართულ ენაზე შედარებისა და გაგების უნარი. სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტაციის შესახებ აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, ასევე, არასპეციალისტებთან, მათ შორის უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარი; აქვს სამართლებრივი საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნულ კანონებში, ბრძანებულებებში, ინსტრუქციებში, საერთაშორისო სამართლის ნორმებში და სხვა ნორმატიულ აქტებში არსებული პრობლემური სამართლებრივი საკითხების მარტივად დასმისა და გადაწყვეტის გზების გასაგებად გადაცემის უნარი. დარგის თავისებურებების გათვალისწინებით თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი; საკითხების მოწესრიგების მიზნით ზეპირი და წერილობითი ფორმით დასმულ საკითხებზე დროული და კომპეტენტური, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საქმიანი შეხვედრებისა და პრეზენტაციების ორგანიზების უნარი;

სწავლის უნარი	აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, ცოდნის მუდმივად განახლების, მეცნიერული სიახლეების მიდევნების უნარი; სიახლეების შესწავლისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სწავლის გაგრძელების დაგეგმვისა და შესაბამისი საჭირო რესურსების გმოყენებისუნარი სამართლის სფეროში ინტერესის სფეროს გაფართოებისა და სხვადასხვა წყაროების გამოყენებით ცალკეული საკითხების შესწავლის უნარიშეუძლია სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების შემდგომ ეტაპზე
ღირებულებები	ხელს უწყობს ეროვნული სამართლის სისტემისათვის საჭირო ღირებულებების დამკვიდრებას; მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით. მოწოდებულია ხელი შეუწყოს არა მარტო იურისტისათვის საჭირო ეთიკის ფარგლებს, არამედ ზოგადად სამართლის სფეროში არსებულ ნორმებს და საზოგადოებაში არსებულ ქცევის წესებს.

I.ფაკულტეტის დასახელება: იურიდიული ფაკულტეტი

II.საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: საჯარო მმართველობა, Public Administration

III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი

V. სწავლების ენა: ქართული

VI. მისანიჭებელი აკად. ხარისხი/კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი Bachelor of Public Administratrion

VII. პროგრამის მოცულობა:

- საჯარო მმართველობის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ფორმაა - დასწრებული სწავლება;
- საჯარო მმართველობის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 240 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 20 სასწავლო კვირას. სტუდენტის წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი);
- საჯარო მმართველობის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის 240 ECTS კრედიტიდან: სპეციალობის ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები 200 კრედიტია, არჩევითი სასწავლო კურსები 10 კრედიტია, პროფესიული პრაქტიკა 10 კრედიტია, თავისუფალი არჩევითი კურსები 20 კრედიტია.

VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს პირი, ან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით (უცხოელებისათვის).

IX. პროგრამის ხელმძღვანელი: მალხაზ ლომსაძე, სამართლის დოქტორი

X. საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

მოამზადოს შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი კვალიფიციური, შემოქმედებითი, მაღალი მოქალაქეობრივი და ეთიკური ღირებულებებით აღჭურვილი პროფესიონალი საჯარო მოხელე;

- სტედენტს მისცეს ფართო ცოდნა საჯარო მმართველობის, საჯარო სამართლის არსისა და ბუნების შესახებ, გამოუმუშაოს პროფესიული პასუხისმგებლობა და განუვითაროს ის უნარები, რომელებიც განაპირობებენ მის წარმატებულ სამსახურებრივ კარიერას;

- სტუდენტს შესძინოს პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის და ცოდნის ეფექტურად გამოყენების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების, მოქალაქეობრივი ღირებულებების დაცვის, საკანონმდებლო ცვლილებების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;

- კურსდამთავრებულს მისცეს შესაძლებლობა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოეთხოვებათ მაგისტრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება;

- კურსდამთავრებული აღჭურვოს სათანადო ცოდნით და შესაძლებლობით სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამით, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე.

XI. დასაქმების სფერო:

საჯარო მმართველობის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა იმუშაოს ნებისმიერ

საჯარო და/ან კერძო სექტორში იმ თანამდებობაზე, სადაც შეიძლება დასაქმდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;

- არასამთავრობო სექტორი;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- მასმედია.

XII. სწავლის შედეგი: კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება	• საჯარო მმართველობის სფეროს ძირითადი პრინციპებისა და კონცეფციების ცოდნა; • საჯარო ორგანოებში მმართველობითი საქმიანობის კომპლექსური საკითხების გაცნობიერება. • აქვს საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის კონტექსტის, თეორიისა და პრაქტიკის შესახებ

	ცოდნა; შეუძლია ახსნას საჯარო, კერძო და მესამე სექტორს შორის ურთიერთობა; • აქვს საჯარო მმართველობის ინტერდისციპლინარული გაგება.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	• საჯარო მმართველობის სფეროში პრობლემების ამოცნობა და მათი გადაჭრა; • მონაცემთა ინტერპრეტაცია, პრობლემების იდენტიფიცირება საჯარო მმართველობის სფეროს სტანდარტული მეთოდების გამოყენებით; • მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირება, საქმეთა გაფორმება, დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება; • გადაწყვეტილების არგუმენტირება სათანადო ტერმინოლოგიის გამოყენებით;
დასკვნის გაკეთების უნარი	• ახალი და განყენებული მონაცემების ანალიზი და მათი ინტერპრეტაცია საჯარო მმართველობის სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით; • საჯარო მმართველობის სფეროს პრობლემების იდენტიფიცირება და მათი ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით.
კომუნიკაციის უნარი	• პროფესიულ დისკუსიაში მონაწილეობა და შედეგების დეტალური და მომცველი წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი წარმოდგენა როგორც მშობლიურ, ისე ინგლისურ ენაზე; • თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა და გამოყენება სამართლის სფეროსათვის სპეციფიკურ კონტექსტში; ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება. • მოქალაქეებთან და კოლეგებთან, აგრეთვე პროფესიულ ჯგუფში ეფექტურად ურთიერთობა და მუშაობა.
სწავლის უნარი	• საკუთარი სწავლის პროცესის შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის უნარი რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით.
ღირებულებები	• კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის დემონსტრირება; • ღირებულებების ფორმირებაში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. • პროფესიული და სხვა სახის სამუშაოების შესრულებისას ეთიკური ნორმების დაცვა;

ფაკულტეტის სასახელება: ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

II. პროგრამის დასახელება: ინფორმაციული ტექნოლოგიები

III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი

V. სწავლების ენა: ქართული

VI. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია: ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში **(Bachelor of Enjineering in Informatics**)

VII. პროგრამის მოცულობა: პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი - 8 ოცკვირიანი სემესტრი (თითოეულ სემესტრში 15 კვირა - სააუდიტორიო მეცადინეობა, 1 კვირა - შუალედური გამოცდები, 2 კვირა - დასკვნითი გამოცდა, 1 კვირა - დამატებითი გამოცდა).

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს (1 კრედიტი 25 საათი). მათ შორის, 125 კრედიტი გათვალისწინებულია ძირითად (major) სპეციალობაზე, 10 თავისუფალი კრედიტი. 5 სპეციალობის არჩევთის, 10 კრედიტი საბაკალავრო ჯგუფური პროექტი, 30 კრედიტი- საუნივერსიტეტო, 60 კრედიტი დამატებით (minor) პროგრამაზე.

60 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს როგორც ერთი დამატებითი (minor) პროგრამა, ასევე სასწავლო კურსები, მოდული ან სასწავლო კურსების ბლოკი, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული ძირითადი და დამატებითი პროგრამებიდან, რაც დაეხმარება მას დასაქმებაში ან/და სწავლის გაგრძელებაში.

240 კრედიტი მოიცავს სტუდენტის აკადემიური დატვირთვის როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელ საათს – სულ 6000 საათს. აქედან 2355 საკონტაქტოა (720 –სალექციო, 1605–სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობები, 188 - შუალედური, დასკვნითი გამოცდების, 250 სთ - საბაკალავრო ჯგუფური პროექტის მომზადების და დაცვის(30 სთ საკონტაქტო, 216 დამოუკიდებელი საათის 4 - პრეზენტაცია/დაცვა)), რაც შეადგენს სტუდენტის აკადემიური დატვირთვის 39,25%,ხოლო 3645 საათი ეთმობა სტუდენტის დამოუკიდებელ საათს (60.75%).

VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა : ინფორმაციული ტექნოლოგიის(ინფორმატიკა) საბაკალავრო პროგრამაზე სწავლა შეუძლია საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს (საქართველოს მოქალაქე), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა უფლება ისწავლოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიის(ინფორმატიკა) სპეციალობაზე. პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აბიტურიენტებს შეუძლიათ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევით საგნად აბარებენ **მათემატიკას, ფიზიკას, ბიოლოგიას, გეოგრაფიას.** არჩევითი საგანების შერჩევა განპირობებულია თანამედროვე ინფორმაციული სისტემების გამოყენების ფართო დიაპაზონით და აბიტურიენტებთან გასაუბრების შედეგების შესწავლით.

გარდა ამისა, უნივერსიტეტში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აბიტურიენტმა სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია. პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაზე ასევე შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საქართველოს და უცხო ქვეყნის აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებმა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებმა. ინფორმაციული ტექნოლოგიის(ინფორმატიკა) სპეციალობაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შიდა მობილობა ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული წესის მიხედვით.

პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან, აფხაზურენოვან და ოსურენოვან აბიტურიენტებს, ვინც წარმატებით ჩააბარებს თავის მშობლიურ ენაზე უნარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე და გაივლის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ენის B_2 დონეზე ცოდნას.

პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხოელი მოქალაქეებისათვის სწავლის აუცილებელი პირობაა ქართული ენის B_{1+} /B_2 დონეზე ცოდნა, რადგან პროგრამაზე სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეები წარმოადგენენ სერტიფიკატს ქართული ენის შესაბამის დონეზე ფლობის შესახებ, ან აბარებენ გამოცდას ქართულ ენაში. სერტიფიკატის აღება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრში უცხოელთათვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში.

პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა აქვთ ასევე საქართველოს და უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტებს. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შიდა მობილობის ფარგლებში–უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად. უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

IX. პროგრამის ხელმძღვანელი: ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ეკონომიკის დოქტორი **ლერი ნოზაძე** (საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა – lerinozadze@yahoo.com; ტელ.: 555 94 20 52 595 855 017).

სჯსუ ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ინჟინერიის დოქტორი **ლელა წითაშვილი** -lelatsitashvili@sjuni.edu.ge 599 44 00 53

X. პროგრამის მიზანი:

- მისცეს სტუდენტებს მაღალი ხარისხის და კონკურენტუნარიანი ცოდნა, რეგიონის სპეციფიკისა და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისად;
- ბაკალავრებმა შეძლონ სწავლის გაგრძელება უფრო მაღალი კვალიფიკაციის მისაღებად.
- შეასწავლოს სტუდენტებს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით საფინანსო-სააღრიცხვო და მენეჯერული ინფორმაციის დამუშავება და გლობალურ ქსელებში ინფორმაციული რესურსებით სარგებლობა.
- შეასწავლოს სტუდენტებს ათვისებული ცოდნის და მეთოდების გამოყენება პრაქტიკულ გადაწყვეტილებათა მისაღებად.

გამოუმუშაოს სტუდენტებს:

- *სრულყოფილი წარმოდგენა სასწავლო საგნებზე ;*
- *ინფორმაციული ტექნოლოგიების ძირითადი მეთოდების ცოდნა;*
- *პროექტებში მონაწილეობის უნარ-ჩვევები; ადაპტირების უნარი.*

XI. დასაქმების სფერო:

პროგრამის კურსდამთავრებულს მუშაობა შეეძლება:

- მართვის სახელმწიფო ორგანოებში, ადგილობრივ თვითმმართველობაში;
- სასწავლო დაწესებულებებსა და საკუთრების სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციებში, რომლებიც საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებენ(კომპიუტერული ცენტრები, ბანკები, კერძო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები, სავაჭრო და საფინანსო ორგანოები);
- არასამთავრობო ორგანიზაციებში; ყველა იმ ორგანიზაციაში, რომლებიც ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო დონის სპეციალისტებს საჭიროებენ;

XII. სწავლის შედეგი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნდამენტური დებულებების, თეორიების, ცნობილი სტრუქტურების, კონცეფციების, პრინციპების, თანამედროვე დაპროგრამების ენებისა და ვებ-გვერდის შექმნის წესების ცოდნა; ალგორთმების საფუძველზე დაპროგრამების ამოცანების რეალიზაცია; მონაცემთა ბაზების შექმნა რეალური სამყაროდან აღებული პრაქტიკული ამოცანების ამოსახსნელად.

2მათემატიკის თეორიული ცოდნის, შეძენილი ლოგიკური, ანალიზური და აბსტრაქტული აზროვნების საფუძველზე პრაქტიკული უნარების გამომუშავება გამოყენებითი კომპიუტერული პროგრამების შექმნისა და საექსპერტო სისტემების ამოცანების გადაწყვეტისათვის.

3.. სხვადასხვა სახის ინფორმაციის (ტექსტური, გრაფიკული, ვიდეო, აუდიო) ეფექტური მართვის პრინციპების ცოდნა და გამოყენება; ოპერაციული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის ათვისება და რეალიზაცია, მათი თვისობრივი მახასიათებლების შეფასების უნარი; პროგრამული საშუალებების ეფექტური და უსაფრთხო ექსპლუატაცია.

4. ინფორმაციული ტექნოლოგიის პრობლემებზე მსჯელობა, ინფორმაციული სისტემების სხვადასხვა დარგებში დანერგვა და მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების დამუშავება; ოპტიმიზაციის მეთოდების, გამოყენებითი პროგრამების, გადაწყვეტილების მხარდამჭერი და ექსპერტული სისტემების საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

5. ქართული და უცხოენოვანი წყაროებიდან პროფესიული ინფორმაციის მოძიება, კრიტიკული შეფასება და დამუშავება; დასკვნების ნათლად, ზუსტად და ადრესატისთვის მისაღები ფორმით მიწოდება(როგორც წერილობით, ასევე ზეპირად); პატივისცემა/დაფასება პროფესიული საქმიანობის მიმართ საკუთარი და სხვების დამოკიდებულებისადმი; პროფესიული ეთიკის დაცვა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები

1. ფაკულტეტის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება

2. პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება/ Business Administration

3. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

4. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

5. სწავლების ენა: ქართული

6. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი / MA of Business Administration (MBA)

7. **პროგრამის მოცულობა: 120** ECTS კრედიტი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა შედგება შემდეგი მოდულებისგან:

ბიზნესის ძირითადი მოდული მოდული **- 63 კრედიტი;**

სპეციალობის მოდული (1. აუდიტი; 2. აგრობიზნესის მენეჯმენტი; 3. უძრავი ქონების ადმინისტრირება) თითოეულისათვის - 17 კრედიტი;;

პრაქტიკა - 10 კრედიტი;

სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი.

8. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა შეუძლია საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც საერთო სამაგისტრო გამოცდაზე ჩააბარა შესაბამისი B ტიპის ტესტი, გადალახა ტესტის მინიმუმ სამ ნაწილში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვა უფლება ჩააბაროს სასპეციალიზაციო გამოცდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე. კონკურსანტი აბარებს გამოცდას ინგლისურ ენაში (B2), რათა დადგინდეს უცხო ენის ცოდნის დონე, ან შეუძლია წარმოადგინოს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უცხოელი მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხოელი მოქალაქეებისათვის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის აუცილებელი პირობაა ქართული ენის B1+/B2 დონეზე ცოდნა, რადგან პროგრამაზე სწავლა ხორციელდება ქართულ ენაზე. ამიტომ, უცხოელი მოქალაქეები წარმოადგენენ ქართული ენის B2 დონეზე ფლობის შესახებ სერთიფიკატს, ან აბარებენ გამოცდას ქართულ ენაში. პროგრამაზე ასევე შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (რომელთა გაცემულ დიპლომს აღიარებს სახელმწიფო) და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის მაგისტრანტებმა მობილობის წესით, თუ საერთო სამაგისტრო გამოცდაზე ჩაბარებული აქვთ შესაბამისი ტიპის ტესტი. მაგისტრანტურაში ჩარიცხვის უფლება აქვს აგრეთვე პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მაგრამ არჩეულ მიმართულებისაგან განსხვავებულ სპეციალობებში. უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის

ფარგლებში. ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა კონკურსანტმა დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

9. პროგრამის ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი თინა გელაშვილი

სპეციალობის არჩევითი მოდულის ხელმძღვანელი:

მოდული-აუდიტი: ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ცისკარა ზარანდია;

მოდული-აგრობიზნესის მენეჯმენტი: ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი თინა გელაშვილი;

მოდული-უძრავი ქონების ადმინისტრირება: ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი გიორგი ბუცხრიკიძე.

10. პროგრამის მიზანი: ბიზნესის ადმინისტრირების მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ბიზნეს-საქმიანობის დაგეგმვას, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებასა და განხორციელებას, ფინანსური ინფორმაციების აუდიტის ჩატარებას, აგრარული ბიზნესისა და უძრავი ქონების ეფექტიან მართვას და ქვეყნის, განსაკუთრებით-კი რეგიონის ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას.

11. სწავლის შედეგი:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტს შეუძლია: **1. ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში** პრობლემების იდენტიფიცირება, მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შესწავლა, დაგეგმვა, ანალიზი, კვლევა და შედეგების სწორი დიაგნოსტირება. გაცნობიერებული აქვს პოლიტიკის დაგეგმვის პრინციპები და პროფესიული როლი გარემოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობაში; **2.** ცალკეული ეკონომიკური მოდელების გამოყენებით ოპერაციების დაგეგმვა და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება, მარკეტინგის, მენეჯმენტის და ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა; ბიზნეს-საქმიანობის დაგეგმვა და მართვა; ბიზნეს საქმიანობის დაწყება გარემოს მდგრადი განვითარების გათვალისწინებით. **აუდიტის მოდულის არჩევის შემთხვევაში:** 2.1 ბასს-ის, ფასს-ის, ასს-ის, ბიზნესის შეფასების ძირითადი დებულებებისა და პრინციპების ინტერპრეტირება, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სფეროში რეკომენდაციებისა და დასკვნის მომზადება; **აგრობიზნესის მოდულის არჩევის შემთხვევაში:** 2.2 აგრობიზნესის სფეროში, მ.შ. შესაბამის ქვედარგებში ინფორმაციის მოძიება, აგრორესურსების და ორგანიზაციული შესაძლებლობების, გაზომვა, მსჯელობა, ანალიზი და პროგნოზირება, ბიზნესის დაგეგმვა და მართვა, პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება; აგრარული პოლიტიკის სტრატეგიული ხედვის ფორმულირება. **უძრავი ქონების ადმინისტრირების მოდულის არჩევის შემთხვევაში:** 2.3 უძრავი ქონების ადმინისტრირების სფეროში ადმინისტრაციული მართვის, რეგისტრაციისა და რეგულირების ძირითადი დებულებებისა და ინსტრუქციების გამოყენება და ურთიერთდაკავშირება, უძრავი ქონების საკადასტრო აღრიცხვასა და შეფასებაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაწყვეტა
3. ბიზნესის ზოგადი და არჩევითი მოდულების საგნების გავლის, სამაგისტრო პრაქტიკისა და ნაშრომის მომზადების შემდეგ შეუძლია ლოგიკური მსჯელობა და კვალიფიციური დასკვნის გაკეთება.

4. კვლევის შედეგების საფუძველზე დამოუკიდებელი კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე
5. ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა სფეროში სწავლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელება, შესაბამისი მიმართულებით მასალის დამოუკიდებლად მოძიება და გამოყენება
6. შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირების დარგის ღირებულებების შეფასება, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა, პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნებისა და ზნეობრივი პრინციპების დაცვა..

I.ფაკულტეტის დასახელება: იურიდიული

II. პროგრამის დასახელება: სისხლის სამართლი

III. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა
IV. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

V. სწავლების ენა: ქართული

VI. მისანიჭებელი აკად. ხარისხი /კვალიფიკაცია: სისხლის სამართლის მაგისტრი **(Master of Criminal law)**

VII. პროგრამის მოცულობა: 120 ECST.

VIII. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა შეუძლია საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (საქართველოს მოქალაქეს), რომელმაც საერთო სამაგისტრო გამოცდაზე ჩააბარა C ტიპის ტესტი და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვა უფლება ჩააბაროს სპეციალიზაციის გამოცდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე. უნივერსიტეტში სასპეციალიზაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ, ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა კონკურსანტმა სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია. უცხოელი მოქალაქეების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაზე ასევე შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (რომელთა გაცემულ დიპლომს აღიარებს სახელმწიფო) მაგისტრანტებმა მობილობის წესით. უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად პროგრამაზე შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

IX. პროგრამის ხელმძღვანელი: მალხაზ ლომსაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი.

XII. პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამის მიზანია აღზარდოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის მქონე თავისუფალი პიროვნება, რომელიც იქნება ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულებების, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი, მაღალკვალიფიციური იურისტი. ჩამოუყალიბოს ზოგადი კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარები; ასწავლოს სამართლებრივი ღირებულებების ფორმირების, იდენტიფიცირების და ანალიზის განხორციელების საშუალებები. გამოუმუშაოს სისხლის სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის გაღრმავების უნარი; დაეუფლოს სისხლის სამართლის ზოგადი და დარგობრივი პრინციპების, ინსტიტუტების, კატეგორიებისა და საკანონმდებლო ბაზის ღრმა და სისტემურ ცოდნას. განუვითაროს სისხლის სამართლის სფეროში, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებისათვის საჭირო უნარები. ასწავლოს სამართლებრივი ინფორმაციის

მოპოვებისა და დამუშავების მეთოდები, რომლებიც მისცემს ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას; ასწავლოს სამართლებრივ ურთიერთობათა ფსიქოლოგიური ასპექტები.

განუვითაროს სისხლისსამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად იდენტიფიცირებისა და კვალიფიკაციისათვის საჭირო უნარები; გამოუმუშაოს ზოგადსამართლებრივ პრობლემათა კომპლექსში სისხლისსამართლებრივი აქტუალური საკითხების ხედვის, გაგების, სისტემური სინთეზის, კრიტიკული ანალიზისა და უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო უნარები; აკადემიური პატიოსნების სტანდარტების გააზრებით დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისა და კრიტიკული ანალიზისათვის საჭირო უნარები. მისცეს სამეცნიერო–კვლევითი სამუშაოების დაგეგმვის, შესრულებისა და დასკვნების დასაბუთების მეთოდების ცოდნა; შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე – დოქტურანტურაში სწავლის გასაგრძელებლად აკადემიური ბაზის მომზადება.

ღრმად შეასწავლოს თითოეული დანაშაულის კვალიფიკაცია მართლმსაჯულებაში დამკვიდრებული თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად, რაც თავის მხრივ, გულისხმობს მაგისტრანტებისათვის სასამართლო საქმეთა განხილვის სპეციფიკისა და დანაშაულთა კვალიფიკაციის ძირითადი მიმართულებების სწავლებას და გამოუმუშაოს სისხლისსამართლებრივი კუთხით სასამართლო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარ-ჩვევა.

XIII. დასაქმების სფერო: ***<u>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და შესაბამისი აკადემიური ხარისხის მიღების შემდგომ მაგისტრების დასაქმების სფეროები შეიძლება იყოს:</u>*** სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში, რომელთა საქმიანობაც მიმართულია საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგებისაკენ, სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განმტკიცებისაკენ. კურსდამთავრებულის პროფესიული საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება სამართლებრივი ნორმების გამოყენება საზოგადოებრივი ურთიერთობების დარეგულირებაში მონაწილეობა; სამართალდარღვევათა აღკვეთა; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და განმტკიცება.

მაგისტრის პროფესიული საქმიანობის ობიექტს წარმოადგენს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა; საზოგადოების პოლიტიკური, სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი; ორგანიზების, მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადებისა და მიღების პროცესები; ადამიანის უფლებების დაცვა და განმტკიცება. მაგისტრის პროფესიული საქმიანობის სახეები სპეციალური გამოცდების ჩაბარების შემდეგ შეიძლება იყოს საადვოკატო, სამოსამართლო, საპროკურორო, საგამომძიებო საქმიანობა. ამასთან ერთად შეიძლება განხორციელდეს ყველა სხვა ისეთი საქმიანობა, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიული განათლების გამოყენებასთან.

პროფესიული მომზადების დონის, სწავლების პროცესში მიღებული სავალდებულო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის გამომუშავებულ უნარ-ჩვევათა გათვალისწინებით, მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს: სამართალდამცავ ორგანოებში; სასამართლოში, ადვოკატურაში, პროკურატურაში; სახელმწიფოს საკანონმდებლო და

აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლის გაგრძელება რეკომენდირებულია სამართლის მიმართულების დოქტორანტურის პროგრამებზე.

XIV. სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	**აქვს:** ➢ სისხლის სამართლის ძირითად ცნებებზე, ინსტიტუტებზე, კონცეპტუალურ მიდგომებსა და მექანიზმებზე; საერთაშორისო სისხლის სამართლებრივ სტანდარტებსა და პრინციპებზე, მის უნივერსალურ და რეგიონალურ მექანიზმებზე, სამეცნიერო–კვლევითი ნაშრომების შესრულების მეთოდებზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისას გამოსაყენებელი ნორმებისა და დანაშაულის მოძღვრების სამართლებრივი თავისებურებების; სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის საფუძვლების; სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა; ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ; კორუფციულ დანაშაულთა კვალიფიკაციის სპეციფიკის; მტკიცებითი სამართლის; საერთო სასამართლოების სისტემის თავისებურებების; საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო სისტემათა სპეციფიკის; მოსამართლეთა პასუხისმგებლობის გამომწვევი მიზეზების; სასამართლო საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის გარანტიების; შედარებითი სისხლის სამართლის არსისა და ამოცანების; შედარებითი სისხლის სამართლის მეთოდებისა და ძირითადი პრინციპების; რომანულ-გერმანული და ანგლო-საქსური სამართლის ქვეყნების სისხლის სამართლის სისტემათა თავისებურების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს ამ საკითხებზე დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის შესაძლებლობას. ➢ სამეცნიერო კვლევისა და ამ კვლევის გზით დასადგენი საკითხების, ორგანიზებული დანაშაულის სახეების; ტრანსნაციონალური დანაშაულის გამოძიების კომპლექსური პრობლემების ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობა. დაცვის ხელოვნების არსისა და მნიშვნელობის გაცნობიერება ➢ გაცნობიერებული აქვს დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების მნიშვნელობა; ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დადებით და უარყოფით მხარეები; მოსამართლეთა სოციალური დაცვის მნიშვნელობა. სამართლებრივი სივრცის არსებობის მნიშვნელობა და აუცილებლობა, სისხლის სამართლის სფეროსთვის მიკუთვნებული საკითხების დარგობრივი თავისებურებების გათვალისწინებით გადაჭრის გზები და მეთოდები. ➢ აქვს ეკონომიკურ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტების, ეკონომიკურ სფეროს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა ერთმანეთისაგან გამიჯვნის ღრმა და სისტემური ცოდნა. ➢ ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას სისხლისსამართლებრივ პრობლემებზე.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<u>შეუძლია:</u> ➢ სისხლის სამართლის ნორმების შემოქმედებითი ინტერპრეტაცია და გამოყენება; სისხლის სამართლის მიმართულებებისათვის დამახასიათებელი პრობლემების კომპლექსური შეფასება და სტრატეგიული, მომავალზე ორიენტირებული ფაქტორების გათვალისწინებით მათი გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება. ➢ ორგანიზებული დანაშაულის გამოძიების მეთოდების პრაქტიკაში გამოყენებისა და სხვა დანაშაულების გამოძიების პროცესში გამომძიებლის საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების, სასამართლოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მნიშვნელობის და მოსამართლეთა პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების განმარტების მეთოდების გამოყენებით კომპლექსური პრობლემების შეფასება და გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება. ➢ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისას ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში მოქმედება და ამ საკითხებთან დაკავშირებით წამოჭრილი კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი და და ორიგინალური გზებსი ძიება. ➢ სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულების კვალიფიკაციის, დანაშაულთა თავიდან აცილების ღონისძიებათა დასახვის ორიგინალური გზების ძიება. ➢ მტკიცებითი სამართლის სფეროში სისხლის საპროცესო სამართლებრივი ნორმების; შედარებითი სისხლის სამართლის, კორუფციასთან ბრძოლის, დანაშაულის მოძღვრების სფეროში წამოჭრილი პრობლემების კომპლექსური და სამართლებრივი შეფასება და ამ პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავება. ➢ დარგისასთვის დამახასიათებელი და ასეგვე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, მათ შორის პრობლემების გადაჭრის მიზნით. შეუძლია კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. ➢ სისხლის სამართლის სფეროსთვის დამახასიათებელი სამართლებრივი პროცედურების დაცვით ახალ და მულტიდისციპლინურ გარემოში სამართლებრივი საქმიანობის განხორციელება; დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით სამართალშემოქმედების პროცესში ახალი, ორიგინალური გზების ძიება, სამეცნიერო პრობლემის დასმა და კვლევა; სამართლებრივ ღონისძიებათა დაგეგმვის, მომზადების და აღსრულების უნარი. ➢ ფლობს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების განწყობას; ჩამოყალიბებული აქვს არარეალისტური დებულებების დადგენისა და უკუგდების განწყობა; ჩამოყალიბებული აქვს გადაწყვეტილების მიღებისას სტრატეგიული, მომავალზე ორიენტირებული ფაქტორების გათვალისწინების განწყობა.
დასკვნის გააკეთების უნარი	<u>შეუძლია:</u> ➢ ადეკვატური მეთოდების გამოყენებით, დამოუკიდებლად გააანალიზოს ახალი და განყენებული მონაცემები, დაამუშავოს მიღებული ინფორმაცია და მოახდინოს მისი სინთეზი; საგამოძიებო და

	სასამართლო პრაქტიკის კომპლექსური განზოგადება და არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება; გააკეთოს სამართლებრივად გამართული, მიზანშეწონილი და კომპეტენტური დასკვნა, როგორც პირდაპირ კონკრეტულ დარგში და სპეციფიკური კუთხით ასევე, მისგან გამომდინარე ისეთ საკითხებზე, რომლებიც მის პროფესიულ სფეროს განეკუთვნება; ➢ სისხლისსამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირება და მისი არსის ჩამოყალიბება; საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის კომპლექსური განზოგადება და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება; ინოვაციური სინთეზის მეშვეობით სამართლებრივი ინფორმაციის კომპლექსური დამუშავება, ანალიზი და დასკვნის გაკეთება; სამეცნიერო ნაშრომების კომპლექსური ანალიზი, შეჯამება და შეფასება. ➢ სისხლის სამართლისა და სისხლის საპროცესო სამართლის ძირითადი დებულებების სისტემური განზოგადება და ლოგიკური დასკვნის ჩამოყალიბება; რთული, არასრული და მწირი ინფორმაციის სამართლებრივი დამუშავება, სინთეზისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით საკუთარი პოზიციის შემუშავება, თანმიმდევრული და დამაჯერებელი არგუმენტაციით დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; ➢ სტანდარტულ და არასტანდარტულ ვითარებაში სამართალშეფარდების და სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური ანალიზი; მტკიცებითი სამართლისათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; ➢ ეკონომიკურ სფეროს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა მაკვალიფიცირებელი ნორმების პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევებს.
